საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 01-04/02

ქ. თბილისი 02.03.2022 წ.

„ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისებურებების შესახებ“ 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის №91 დადგენილებისა და „„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 1 მარტის №01-100/ო ბრძანების გათვალისწინებით, რომლებიც ცვლიან, ზოგ შემთხვევაში აუქმებენ იმ სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც საფუძვლად დაედო „ახალ კორონავირსთან (COVID-19) დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისუფლების შესახებ“ სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში - „ობსერვატორია“) დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 ნაწილების, მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს **„ახალ კორონავირსთან (COVID-19) დაკავშირებით ობსერვატორიაში შესვლისა და გადაადგილების თავისუფლების შესახებ“** ობსერვატორიის დირექტორის 2021 წლის 24 დეკემბრის №03-04/13 ბრძანება, 2022 წლის 2 მარტიდან.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი გამოცემის დღიდან.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საჯაროდ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი **რევაზ ჭანიშვილი**